

საარქივო დოკუმენტის ასლი
(უძრავ ქონებაზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი)

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი

სამართლებრივი აქტი (დოკუმენტი), რომელიც საფუძვლად უდევს კონკრეტულ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების (საკუთრების, აღნაგობის, იჯარის და ა.შ) რეგისტრაციას.

რას ნიშნავს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის მომზადება?

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის მომზადება ნიშნავს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ კონკრეტულ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების (საკუთრების, აღნაგობის, ქირაგნობის, იჯარის და ა.შ) რეგისტრაციის საფუძვლად არსებული დოკუმენტაციის ასლის სათანადო წესით დამოწმებას და დაინტერესებული პირისათვის გადაცემას.

როდის დგება უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის მომზადების საჭიროება?

თუკი პირს სასამართლოში/სხვა ადმინისტრაციულ თუ სამართალდამცავ ორგანოში წარსადგენად ან რაიმე სხვა მიზნით სურს კონკრეტულ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების რეგისტრაციის საფუძვლად ასებული დოკუმენტაცია.

ვისთვისაა განკუთვნილი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის მომზადების სერვისი?

აღნიშნული სერვისი განკუთვნილია ნებისმიერი პირისთვის, რომელსაც სურს ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების რეგისტრაციის საფუძვლად არსებული დოკუმენტაციის ასლი.

ვის მიემართო უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის მომზადებისთვის?

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის მომზადებისათვის მიმართეთ ბათუმის იუსტიციის სახლს.

თან იქონიეთ შემდეგი დოკუმენტები:

- განცხადება;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (გადახდა შესაძლებელია ადგილზე)

იმ შემთხვევაში თუ სარეგისტრაციო სამსახურს მიმართავს დაინტერესებული პირის წარმომადგენელი, განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სათანადო წესით დამოწმებული

წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

ბოქსის ინფორმაცია:

მარეგისტრირებული ორგანოს მიერ დამოწმებული დოკუმენტის ასლს აქვს ოფიციალური ძალა და ადასტურებს დედანთან იგივეობას.

მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული დოკუმენტაციის, ასევე მის მიერ რეგისტრაციის შედეგად შექმნილი ნებისმიერი დოკუმენტის დედნის ან ასლის გამოთხოვა არ აჩერებს რეგისტრირებული მონაცემების მოქმედებას და არ კრძალავს მათ საფუძველზე საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თუ სხვა დოკუმენტის ან ინფორმაციის გაცემას.

კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დამატებით მოთხოვნილ იქნეს ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია, რაც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად.

სარეგისტრაციო წარმოების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ ვადის ბოლო დღეს წარმოადგენს მომდევნო სამუშაო დღე.

საჯარო რეესტრის ეროვნული საჯარო რეესტრის წარმოებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ახორციელებს უშუალოდ, ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების ან ავტორიზებული პირების მეშვეობით.

ვადა დასაფასური:

მომსახურების ვადა	მომსახურების ტარიფი
4 სამუშაო დღეში	1 გვერდი-0.50 ლარი
განცხადების შეტანის დღეს	5 ლარი, ამასთან 1 გვერდი-0.50 ლარი

შენიშვნა: საჯარო დაწესებულებების მოთხოვნის შემთხვევაში აღნიშნული მომსახურება ხორციელდება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე.

